საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/5835
03/10/2022

5835-21-2-202210031710

შპს „ეისიი მეტალსს“
მის: ქ.თბილისი, გარდაბნის გზატკეცილი N42
ელ. ფოსტა: irhan@aceforwarding.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ 2022 წლის 22 სექტემბერს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი განცხადება (N5034), რომელიც ეხება ქ. თბილისში შპს „ეისიი მეტალს”-ის სორტული ნაგლინის (ლითონის ცხლად დამუშავება) საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას. გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას და კორექტირებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- გზშ-ის ანგარიშის სხვადასხვა თავების თანახმად, საქმიანობა ითვალისწინებს საწარმოს „მოწყობასა და ექსპლუატაციას“. ამავე დროს, გზშ-ის ანგარიშიდან ირკვევა რომ საწარმოს ტერიტორიაზე უკვე განხორციელდა გარკვეული სამონტაჟო სამუშაოები. გზშ-ის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობის შესაბამისად;
- გზშ-ის ანგარიშის 3.1 ქვეთავში აღნიშნულია რომ ნედლეულის შემოტანისათვის და პროდუქციის გატანისათვის ტრანსპორტის მოძრაობის ინტენსივობა იქნება წელიწადში დაახლოებით 1800 -2000 ერთეული. 4.10 ქვეთავში კი მითითებულია, რომ საწარმოში ნედლეულისა და პროდუქციის ტრანსპორტირება ძირითადად განხორციელდება დიდი ტვირთამწეობის თვითმცლელებით, რომლის სიხშირე დღეში არ აღემატება 4 ერთეულს. საწარმოს სამუშაო რეჟიმის (წელიწადში 240 დღე) გათვალისწინებით გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს ტრანსპორტირების საკითხი.
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, “ქ. თბილისის მერიაში დაწყებულია პროცედურები აღნიშნული ტერიტორიის სამრეწველო ზონა 1-ის სამრეწველო ზონა 2-ად კატეგორიის ცლილებებთან დაკავშირებით”. აღნიშნულთან თაობაზე წარმოდგენილი უნდა იყოს თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან კომუნიკაციის ამსახველი დოკუმენტაცია;

- გზშ-ის ანგარიშის ცხრილი 8.1-ში მოცემულია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში მოსალოდნელი ნარჩენების სახეები და მიახლოებითი რაოდენობები, აღნიშნულ ცხრილში არ ფიქსირდება 8.5.2 ქვეთავში მითითებული ვადაგასული და მწყობრიდან გამოსული აკუმულატორები (შესაბამისი ნარჩენის კოდით);
- სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილ საკითხზე - კუმულაციური ზემოქმედება 500 მ-იან რადიუსში არსებული ობიექტების გათვალისწინებით და ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისთვის, გზშ-ის ანგარიშში მითითებულია რომ აღნიშნული მოთხოვნა შესრულებულია N 9 პარაგრაფში. აღნიშნულ თავში მითითებულია: "კუმულაციური ზემოქმედების საგულისხმო სახედ უნდა მივიჩნიოთ ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება და ხმაურის გავრცელება. კერძოდ, საწარმოს და მის მიმდებარედ არსებული საწარმოების ერთდროული ფუნქციონირების შედეგად გამოწვეული ხმაურის ჯამური ზეგავლენა გარემოს სხვადასხვა რეცეპტორებზე". გზშ-ის ანგარიშში შეფასებული/მოდელირებული არ არის ხმაურის გავრცელების შედეგად კუმულაციური ზემოქმედება მიმდებარედ არსებული ობიექტების, მათ შორის შპს „მეგობრობა"-ს ლუდსახარში საამქროს გათვალისწინებით, შესაბამისად საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშში დეტალურად არის განხილული უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის საკითხები, თუმცა დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „საწარმოს არ ევალება ატმოსფერულ ჰაერზე უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის დანერგვა, იმ კანონებიდან გამომდინარე, რომელიც მიღებულ იქნა საქართველოში შესაბამისი კანონიდან გამომდინარე". ამასთან ანგარიშში (მე-7 პარაგრაფი) აღნიშნულია: „...ატმოსფეროში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებების კონცენტრაციის შემცირების მიზნით რაიმე ფილტრების დაყენება არ იგეგმება, რადგან ისინი საჭიროებას არ მოითხოვს", ხოლო გზშ-ის ანგარიშის 4.1 ქვეთავში (გაფრქვევები გამახურებელი ღუმელიდან) კი აღნიშნულია, რომ „გაფრქვევის მილის სიმაღლე ტოლია 14 მ და დიამეტრი 550 მმ ..." გზშ-ის ანგარიშში მოცემული ყველა ზემოაღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას და შესაბამის დასაბუთებას;
- დაზუსტებას საჭიროებს რა მიზნით არის წარმოდგენილი „ეისიი მეტალს"-ის ამონაწერი ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრიდან (რეგისტრაციის თარიღი 01/10/2021), რომლის მიხედვით „ეკონომიკური საქმიანობის რეგისტრაციის ვადაა 1 წელი რეგისტრაციის მომენტიდან. ამასთან განახლებას საჭიროებს ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
- გზშ-ის ანგარიშში მოცემულ დანართ N3-ში, სადაც წარმოდგენილია გზშ-ის ანგარიშის მომზადებაში მონაწილე პირთა სია შესაბამისი ხელმოწერებით, დაზუსტებას საჭიროებს პირველ აბზაცში ჩამოთვლილი პარაგრაფების შემსრულებლის შესახებ ინფორმაცია;
- გზშ-ის ანგარიშში (ქვეთავი - 4.4. ნიადაგების და გრუნტის ხარისხობრივი მდგომარეობის შეფასება და ნიადაგების დაბინძურების ფაქტორი) აღნიშნულია, რომ „საქმიანობის სპეციფიკაციის გამო ძირითად დამაბინძურებელ ფაქტორს

წარმოადგენს: შლამის და კუდების მართვის წესების დარღვევა“, დაგეგმილი საქმიანობის გათვალისწინებით დაზუსტებას საჭიროებს ზემოაღნიშნული ნარჩენების წარმოქმნის საკითხი;

- გზშ-ის ანგარიშის 2.7 ქვეთავში მოცემული ინფორმაცია, რომელიც ეხება დაცულ ტერიტორიებს საჭიროებს კორექტირებას, კერძოდ აღნიშნულია, რომ საწარმოდან უახლოეს დაცულ ტერიტორიას წარმოადგენს კრწანისის ტყე-პარკი. ამავე ნაწილში მოცემულია რომ კრწანისის პარკი არ წარმოადგენს დაცულ ტერიტორიას.

სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით კორექტირებული გზშ-ის ანგარიშისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განსაზღვრული სრულყოფილი დოკუმენტაციის სააგენტოში წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო